საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეშუმი

ბეშუმი, მთის კლიმატური კურორტი ხულოს მუნიციპალიტეტში, არსიანის ქედის აღმ. ფერდობზე. ზ. დ. 1850–1900 მ, ხულოდან 30 კმ. მიმდებარე ტერიტ. წიწვოვანი ტყით არის დაფარული. ზამთარი დიდთოვლიანია და ზომიერად რბილი (იანვ. საშ. ტემპ-რა –50°C), ზაფხული ზომიერად თბილი (აგვ. საშ. ტემპ-რა 170°C). ნალექების წლ. რაოდენობა – 1100 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2000 სთ აღემატება.

ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორია მთის ჰავა (რ-იც განსაკუთრებით უხდება ბავშვებს). სამედ. ჩვენება: სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადებები (მ. შ. ბრონქული ასთმა), სისხლნაკლებობა. ბ-იდან 2–3 კმ დაშორებით არის რკინის შემცველი მინერ. წყაროები. კურორტზე ზაფხულის თვეებში მუშაობდა დასასვენებელი სახლი „ბეშუმი“, იყო ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები. სეზონი – ივნ.-სექტემბერი.

აგვისტოს დასაწყისში ბ-ში ტრად. სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ იმართება.

გ. უშვერიძე